თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# სასწავლო კურსის სილაბუსი

(2010-2011 სასწავლო წელი)

საგანმანათლებლო პროგრამა ბაკალავრიატში

სპეციალობა _ სამართალმცოდნეობა

| | |
|---|---|
| სასწავლო კურსის დასახელება | პრაქტიკული კურსი ,,საქართველოს საარჩევნო სამართალში" |
| მოდულის / კურსის დონე | ბაკალავრიატი |
| კურსის ტიპი: | სავალდებულო |
| კურსის კოდი: | **S.1. L.47** |
| სწავლების პერიოდი: | მესამე სასწავლო წლის II სემესტრი |
| **ECTS** –ის კრედიტების რაოდენობა: | 5 კრედიტი |
| საკონტაქტო საათები: | ორSabaTi 15 $^{00}$ saaTi (კვირაში 2 საათი) |
| სწავლების ხანგრლივობა: | 15 კვირა |
| ლექტორი: | ანნა უსტიაშვილი<br>anaustiashvili@yahoo.com<br>ტელ: 877782299 |

## სასწავლო კურსის მიზნები

სასწავლი კურსის მიზანია კვალიფიციურად დააუფლოს სტუდენტი პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საკითხს. კერძოდ, საარჩევნო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, სარჩევნო სისტემებს, საარჩევნო კანონმდებლობას, საქართველოს პრაქტიკაში მის აღსრულებას, არჩევნების როლს სამოქალაქო საზოგადოებაში.

**სასწავლო კურსის წინაპირობები:** არ აქვს

**აკადემიური ეთიკის მოთხოვნები:**
სასწავლო კურსის მართვისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ყოველი სტუდენტი ვალდებულია **გაითვალისწინოს** აკადემიური (საუნივერსიტეტო) ეთიკის მოთხოვნები და დაიცვას ქცევის ელემენტარული ნორმები, რომელიც ''სტუდენტის ეთიკური ქცევის კოდექსშია'' ასახული. აღნიშნული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და ფორმატიდან გამომდინარე, სწავლების პროცესის ხელისშემშლელ ფაქტორებად მიიჩნევა და გამოვლენის დონის შესაბამისად ისჯება შემდეგი:

- **არაპუნქტუალობა;**
- **უყურადღებობა;**
- **გადაწერა.**

**სასწავლო კურსის სწავლის შედეგები:**

| | |
|---|---|
| აქვს საარჩევნო სისტემების ზოგადი ცოდნა და შეუძლია მარტივი ამოცანების შესრულება | იცნობს საარჩევნო სამართლის ზოგად თეორიულ დებულებებს, აცნობიერებს მათ მნიშვნელობას |
| შეუძლია შესაბამის გარემოში უშუალო ხელმძღვანელის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები ძირითადი მასალების გამოყენებით | ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია საარჩევნო კონკრეტული კაზუსის შეფასება და ანალიზის გაკეთება |
| შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი პრობლემების ამოცნობა და მათი გადაწყვეტა | შეუძლია ანალიზი გააკეთოს საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ |
| შეუძლია საარჩევნო საკითხებზე ზეპირი და წერითი კომუნიკაცია, ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს | ხელმძღვანელის დახმარებით შეუძლია ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის მომზადება საარჩევნო პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით |
| შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა | ხელმძღვანელის უშუალო დახმარებით შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი მომზადების დონის გაღრმავება, |

| | |
|---|---|
| | ასევე შეუძლია სწავლა პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით |
| იცნობს საარჩევნო საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს | ითვალისწინებს და პატივს სცემს პროფესიონალთა აზრს, აცნობიერებს ზუსტი და თანადროული მუშაობის აუცილებლობას საარჩევნო ადმინისტრაციის ნებისმიერ დონეზე |

## სასწავლო გეგმის შინაარსი

| პერიოდი | მეცადინეობის ფორმატი | თემატიკა |
|---|---|---|
| 1 კვირა | პრაქტიკული (2 სთ.) | ***საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტური ფილმის ჩვენება;***<br><br>***ზოგადი დებულებების მოკლე მიმოხილვა:***<br>1. საქართველოს საარჩევნო სამართლის ისტორია;<br>2. საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები;<br>3. კანონის მიზანი, არჩევნების სამართლებრივი საფუძვლები;<br>4. საარჩევნო სისტემები.<br>ლიტერატურა: საარჩევნო კოდექსი - გვ.1-4;<br>,,დამხმარე სახელმძღვანელო საარჩევნო სამართალში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის“ - გვ.2-9 |
| 2 კვირა | პრაქტიკული (2 სთ.) | თემატიკა: საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია (სტატუსი, სისტემა, შემადგენლობა, უფლებამოსილება, შექმნის წესი, სამართლებრივი აქტები); საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის წესი; საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი.<br>ლიტერატურა: საარჩევნო კოდექსი - გვ.8-11;<br>,,დამხმარე სახელმძღვანელო საარჩევნო სამართალში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის“ - გვ.3-32 |
| 3 კვირა | პრაქტიკული (2 სთ.) | თემატიკა: დამკვირვებლები, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები; პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენლები (რეგისტრაციის წესი, უფლებამოსილებანი).<br>ლიტერატურა: საარჩევნო კოდექსი - გვ.39-42;<br>,,დამხმარე სახელმძღვანელო საარჩევნო სამართალში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის“ - გვ.32-48 |
| 4 კვირა | პრაქტიკული (2 სთ.) | თემატიკა: ამომრჩეველთა სიები (ამომრჩეველთა რეგისტრაცია; ერთიანი სია, სპეციალური სია, ამომრჩეველთა სიის დანართი და მათი ფორმირების წესი)<br>ლიტერატურა: საარჩევნო კოდექსი - გვ.4-8; |

| | | |
|---|---|---|
| | | ,,დამხმარე სახელმძღვანელო საარჩევნო სამართალში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის“ - გვ.38-42 |
| 5 კვირა | **I შუალედური გამოცდა (2 სთ)** | პირველი შუალედური გამოცდის თემატიკა მთლიანად მოიცავს განვლილ საკითხებს |
| 6 კვირა | პრაქტიკული (2 სთ.) | თემატიკა: არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრები და მათი განკარგვის წესი; შემოწირულობები საარჩევნო კამპანიის ფონდში; წინასაარჩევნო კამპანია/ აგიტაცია; წინასაარჩევნო შეკრებები და მანიფესტაციები<br>ლიტერატურა: საარჩევნო კოდექსი - გვ.24-26;42-46;<br>,,დამხმარე სახელმძღვანელო საარჩევნო სამართალში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის“ - გვ.43-54 |
| 7 კვირა | პრაქტიკული (2 სთ.) | თემატიკა: კენჭისყრის დრო და ადგილი; კენჭისყრის შენობის მოწყობა; საარჩევნო უბნის გახსნა; კენჭისყრის პროცესი; კენჭისყრის პროცესის განსაკუთრებული შემთხვევები<br>ლიტერატურა: საარჩევნო კოდექსი - გვ.26-33;<br>,,დამხმარე სახელმძღვანელო საარჩევნო სამართალში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის“ - გვ.55-71 |
| 8 კვირა | პრაქტიკული (2 სთ.) | თემატიკა: საარჩევნო უბნის დახურვა; საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები; ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურები.<br>ლიტერატურა: საარჩევნო კოდექსი - გვ.33-38;<br>,,დამხმარე სახელმძღვანელო საარჩევნო სამართალში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის“ - გვ.71-84 |
| 9 კვირა | პრაქტიკული (2 სთ.) | თემატიკა: განცხადება - საჩივრები; საარჩევნო დავების განხილვა<br>ლიტერატურა: საარჩევნო კოდექსი - გვ.46-50;<br>,,დამხმარე სახელმძღვანელო საარჩევნო სამართალში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის“ - გვ.84-98 |
| 10 კვირა | ***წერით დავალება (2 სთ)*** | ***განვლილი საკითხები*** |
| 11 კვირა | პრაქტიკული (2 სთ.) | თემატიკა: საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები.<br>ლიტერატურა: საარჩევნო კოდექსი - გვ.50-53;<br>,,დამხმარე სახელმძღვანელო საარჩევნო სამართალში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის“ - გვ.100-106 |
| 12 კვირა | პრაქტიკული (2 სთ.) | თემატიკა: საქართველოს პარლამენტის არჩევნები.<br>ლიტერატურა: საარჩევნო კოდექსი - გვ.53-63;<br>,,დამხმარე სახელმძღვანელო საარჩევნო სამართალში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის“ - გვ.106-124 |

| | | |
|---|---|---|
| 13 კვირა | პრაქტიკული (2 სთ.) | თემატიკა: ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნები.<br>ლიტერატურა: საარჩევნო კოდექსი - გვ.63-72;<br>,,დამხმარე სახელმძღვანელო საარჩევნო სამართალში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის" - გვ.124-139 |
| 14 კვირა | პრაქტიკული (2 სთ.) | თემატიკა: საქართველოს დედაქალაქის - თბილისის საკრებულოსა და თბილისის მერის არჩევნები<br>ლიტერატურა: საარჩევნო კოდექსი - გვ.72-74;<br>,,დამხმარე სახელმძღვანელო საარჩევნო სამართალში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის" - გვ.139-147 |
| 15 კვირა | **II შუალედური გამოცდა (2 სთ)** | მეორე შუალედური გამოცდის თემატიკა მთლიანად მოიცავს პირველი შუალედური გამოცდის შემდგომ განვლილ მასალას. |
| კვირა | 1 სთ | **დასკვნითი გამოცდა** |

**სასწავლო კურსის ფარგლებში დასახული მიზნების განხორციელებისა და ცოდნის დაუფლებისათვის სავალდებულოა შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება:**

- სილაბუსის გაცნობის შემდგომ **სტუდენტმა** სათანადოდ **უნდა გაიაზროს** სასწავლო კურსის არსი, სწავლების ძირითადი მიზნები და ამოცანები;

- **სტუდენტი უნდა გაეცნოს** სწავლების ფორმატსა და მეთოდებს. ჩაწვდეს ყოველ ლექციაზე ახსნილი მასალის არსსა და მის მიერ შესასრულებელ ტესტური ამოცანებისა და საკონტროლო სამუშაოთა მნიშვნელობას, დისციპლინის კვალიფიცირებულად დაუფლების და გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის **გაიაზროს** უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემის კრიტერიუმები და პირობები

- **სტუდენტი** კურსის დაწყებამდე **უნდა გაეცნოს** სილაბუსში წარმოდგენილ სასწავლო გრაფიკს და **ყურადღება გაამახვილოს** შესასრულებელი სამუშაოების ტიპსა და ვადებზე; შეფასების სისტემიდან გამომდინარე, თანმიმდევრულად და დროულად **შეასრულოს** გრაფიკით დადგენილი ყოველი სამუშაო. დაგვიანებით შესრულებული დავალება სტუდენტს **არ ჩაეთვლება** შესრულებულ სამუშაოდ და **არ შეფასდება** (განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა);

- **სტუდენტმა ყურადღება უნდა** დაუთმოს დამოუკიდებლად მუშაობას (არასაკონტაქტო საათების დროს) და ყოველი დავალების მომზადებისას **გულდასმით გაეცნოს** დასამუშავებელ საკითხებზე მითითებულ ლიტერატურას და სხვა დამხმარე წყაროებს, სამუშაოთა შესრულების ინსტრუქციებს; დავალების მომზადებამდე სათანადოდ უნდა **გაიაზროს** შეფასების კრიტერიუმები და აღნიშნულის გათვალისწინებით დაგეგმოს შემდგომი საქმიანობა;

- **სტუდენტმა** დროულად უნდა **აცნობოს** ლექტორს სასწავლო კურსთან დაკავშირებული ნებისმიერი გაურკვეველი საკითხის, ან სწავლების პროცესში

წამოჭრილი პრობლემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, მისი დახმარებით გაართვას თავი წარმოქმნილ სირთულეს (ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში სტუდენტი **ვალდებულია მიმართოს** ფაკულტეტის დეკანატს);

 აღნიშნული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტის მიერ სწავლების გრაფიკით განსაზღვრული დავალების შეუსრულებლობა და მეცადინეობაზე მოუმზადებლად გამოცხადება, მეცადინეობის გაცდენა მნიშვნელოვნად მოქმედებს მისი ცოდნის ხარისხსზე და აისახება საბოლოო შეფასებაზე. **სტუდენტმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს,** რომ ერთი სასწავლო კვირის გაცდენის შემთხვევაშიც კი მას შეიძლება გაუჭირდეს დაგროვილი მასალის დაძლევა და აღმოჩნდეს სერიოზული პრობლემის წინაშე;

 **სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს** ინსტიტუტში შემუშავებულ "სტუდენტის ეთიკური ქცევის კოდექსს", აგრეთვე სილაბუსში მითითებულ "აკადემიური ეთიკის მოთხოვნებს", სათანადოდ **გაიაზროს** საკუთარი უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობანი. მკაცრად **დაიცვას** აღნიშნული სასწავლო კურსის დაუფლებისათვის დადგენილი ყველა მოთხოვნა. ეთიკური ქცევის ნორმების დარღვევა მნიშვნელოვნად იმოქმედებს სტუდენტის საბოლოო შეფასებაზე. უფრო მეტიც, განსაკუთრებულ შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტი შეიძლება იქცეს ეთიკური კომისიის განხილვის საგნად ან/და აისახოს დეკანის (ან პროფესორის) მიერ ხელმოწერილ სარეკომენდაციო წერილში.

## სასწავლო კურსის სწავლების მეთოდი და ფორმატი:

აღნიშნული დისციპლინის შესწავლა ხორციელდება ლექციებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე და დამოუკიდებელი მუშაობისას სახელმძღვანელოების, ელექტრონული პრეზენტაციების, ინტერნეტისა და რეკომენდირებული ლიტერატურის გამოყენებით. სწავლების პროცესში, სალექციო კურსის ფორმატიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემდეგ მეთოდებს:

- ლექციას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- ტესტური ამოცანების შესრულებას
- დამოუკიდებელ მუშაობას
- საკონტროლო ტესტური სამუშაოების შესრულებას.

**თეორიული კურსი (ლექცია)** ორიენტირებულია ძირითადად შესასწავლი მასალის ძირითად ცნებებზე და დებულებებზე. შესასწავლი მეთოდები დაკავშირებულია კონკრეტულ თემატიკებთან. აქტიურად ხდება სადემონსტრაციო საშუალებების გამოყენება და სტუდენტების ჩართვა დისკუსიებში.

**პრაქტიკულ მეცადინეობაზე** ყურადღების კონცენტრირება ხდება კონკრეტული სამუშაოს უშუალოდ შესრულებაზე და ლექციაზე ახსნილი მასალის სრულფასოვნად შესწავლაზე, ინსცენირებულ საარჩევნო პროცედურებში მონაწილეობის მიღებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცებას.

**სავარჯიშოების შესრულებისას** სტუდენტმა უნდა გაიაზროს დასმული ამოცანის მნიშვნელობა.

**დამოუკიდებელ** ტესტური სამუშაოების შესრულებით სტუდენტი ამოწმებს მასალის ათვისების ხარისხს

შეფასების ფორმატი :

| | |
|---|---|
| 90-ze meti -100 | ქულა არის შეფასება "A" ანუ "ფრიადი" |
| 81 - 90 | ქულა არის შეფასება "B" ანუ "ძალიან კარგი" |
| 71 - 80 | ქულა არის შეფასება "C" ანუ "კარგი" |
| 61 - 70 | ქულა არის შეფასება "D" ანუ "დამაკმაყოფილებელი" |
| 51 - 60 | ქულა არის შეფასება "E" ანუ "საკმარისი" |
| 41 – 50 | ქულა არის შეფასება "Fx" ანუ "ვერ ჩააბარა" |
| 40 da naklebi | ქულა არის შეფასება "F" ანუ "ჩაიჭრა" |

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდეს შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა.
ამ კომპონენტების ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვროს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:
შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;
დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.
შუალედური შეფასებები განისაზღვროს შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:
1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);
2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);
3) მაქსიმუმ 10 ქულა.
შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი 10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით.
შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით, საკონტროლო წერით, ტესტირებით და სხვა.
შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ოთხჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით, ლაბორატორიული სამუშაობებით და სხვა.
შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა დაიწეროს არა

უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდეს შუალედური შეფასებების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.

პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგეს სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდეს სტუდენტებთან. სასურველია, რომ შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევდეს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვროს შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით.

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით.

4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდეს არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცეს სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ მან თვითონ გადაწყვიტოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხი, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდეს წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდეს არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდეს უწყისში და გადაეცეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილოს სტუდენტის ნაწერი. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს იგი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ჩატარების სავარაუდო თარიღები დეტალურად გაიწეროს სასწავლო კურსის სილაბუსში, იყოს გამჭვირვალე და სტუდენტებისათვის გასაგები. რომელიმე თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს წინასწარ მიეწოდოს ინფორმაცია.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

## სასწავლო სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა:

**სავალდებულო:**

1. საქართველოს კონსტიტუცია.

2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.
3. საქართველოს საარჩევნო კოდექსი.

**დამხმარე:**

1. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ.
2. ო. მელქაძე ,,კონსტიტუციონალიზმი". 2008 წ.
3. ავტორთა კოლექტივი, ა.დემეტრაშვილი ,,კონსტიტუციური სამართალი" 2005წ.
4. ა.დემეტრაშვილი, ი. კობახიძე ,,კონსტიტუციური სამართალი" 2008 წ